საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-08/81

ქ. ბათუმი *3 ივლისი, 2018 წ.*

,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N03 გადაწყვეტილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 3 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (MES 518 00851931) და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 სექტემბრის N102 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება ,,ბსუ-ს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანებაში, კერძოდ, ბრძანების N1 დანართში (ვაკანტური თანამდებობები), ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის დარგობრივ დეპარტამენტში ნაცვლად 6 ვაკანტური ასოცირებული პროფესორის საშტატო ერთეულისა ჩაიწეროს 5 (ხუთი) ვაკანტური თანამდებობა.
2. დაევალოს იურიდიულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 13 ივნისის N01-08/64 ბრძანების კოდიფიცირებული ვერსიის და განახლებული ,,ვაკანტური ადგილების ჩამონათვალის" (N01-08/64 ბრძანების დანართი 1) მომზადება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის მიწოდება.
3. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს და პერსონალს.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი *მერაბ ხალვაში*